საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება: **ოკუპაციური თერაპია / Occupational Therapy**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **ოკუპაციური თერაპევტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი**

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: **240 ECTS**

სწავლების ენა: **ქართული**

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სასწავლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კომპეტენტური (პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევისა და დამოკიდებულების მქონე) ოკუპაციური თერაპევტი, რომელიც იმუშავებს ოკუპაციური თერაპიის პრაქტიკის ნებისმიერ სფეროში მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომისა და პროფესიული ეთიკის დაცვით. პროგრამა აგებულია ზოგად და სპეციფიკურ (დარგობრივ) კომპეტენციებზე დაყრდნობით, რომლის ძირითადი თემებია: ცოდნა ოკუპაციურ თერაპიაში; ოკუპაციური თერაპიის პროცესი და პროფესიული აზროვნება; პროფესიული ურთიერთობები და თანამშრომლობა; პროფესიული ავტონომია და პასუხისმგებლობა; კვლევა და განვითარება ოკუპაციურ თერაპიაში/მეცნიერებაში; პროფესიის მართვა და ხელშეწყობა. სასწავლო გეგმის სტრუქტურა ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: ზოგადი ცოდნიდან კერძოსკენ; ინდივიდთან მუშაობიდან თემთან მუშაობისკენ; მცირე ასაკის პირებთან მუშაობიდან ხანდაზმულ პირებთან მუშაობისკენ. სასწავლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იღებს ცოდნას, მუშაობის უნარ-ჩვევას და პრაქტიკულ გამოცდილებას ოკუპაციური თერაპიის მომსახურების შესახებ სხვადასხვა სფეროში. საბოლოო საბაკალავრო ნაშრომი ახდენს სტუდენტის როგორც კვლევის, ასევე პროექტის განხორციელების საბაზისო უნარების დემონსტრირებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

წარმატებით ჩაბარებული ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება.

სწავლის შედეგი

ბოლონიის პროცესში მონაწილე ქვეყნებისთვის ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრიატის კომპეტენციები განისაზღვრება TUNING Occupational Therapy Group-ის (2007) მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების საფუძველზე განათლების სამი ციკლისთვის.

მოცემული საბაკალავრო პროგრამა ოკუპაციურ თერაპიაში დაფუძნებულია პირველი ციკლის დისკრიპტორებზე (აღმწერზე).

ქვემოთ ჩამოთვლილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ შესაძლებელია სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში.

ცოდნა და გაცნობიერება	ბაკალავრის ხარისხის მქონე ოკუპაციურ თერაპევტს აქვს პროფესიული ცნებების და თეორიის ღრმა ცოდნა. შეუძლია ახსნას მიმართება ოკუპაციურ პერფორმანსს, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას შორის. იყენებს ცოდნას ბილოგიური, სამედიცინო, სოციალური, ჰუმანიტარული, ფსიქოლოგიური და ოკუპაციური მეცნიერებებიდან.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია ოკუპაციური თერაპიის საჭიროების დადგენა (როგორც ინდივიდუალური კლიენტისთვის, ასევე ოჯახის, ორგანიზაციის თუ თემისთვის), ოკუპაციურ თერაპიული შეფასების განხორციელება, ჩარევის მიზნების დასახვა მულტიდისციპლინურ გუნდთან თანამშორმლობით, ინტერვენციის განხორციელება, დამხმარე საშუალებების შერჩევა/რეკომენდირება, ადაპტაციების განსაზღვრა, ასევე საკუთარი მუშაობის პროცესის შეჯამება და შედეგების გადაფასება.
დასკვნის უნარი	შეუძლია კლინიკური მსჯელობის

	საფუძველზე რეალურ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავლის დადგენა. შეუძლია რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის კრიტიკული გააზრება და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის გამოყენება. უმკლავდება ეთიკურ დილემას, რომელიც თავს იჩენს პრაქტიკული მუშაობისას.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიულ კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაციია მშობლიურ და უცხო ენაზე. ურთიერთობის დასამყარებლად შეუძლია კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენება. აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვის დასმის უნარი.
სწავლის უნარი	შეუძია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. იყენებს სასწავლო-საინფორმაციო რესურსებს. აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვის და ჯგუფში სწავლის უნარი. შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება. აცნობიერებს ცოდნის განახლების და უწყვეტი პროფესიული განათლების აუცილებლობას.აქვს საკუთარი კომპეტენციის კრიტიკული შეფასების უნარი.
ღირებულებები	მუშაობს კლიენტზე-ცენტრირებული

	პრინციპის დაცვით. მუშაობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური ერთობის და დემოკრატიული პრინციპების გათვალისინებით.

ზოგადი

პირველი ციკლის დონეზე ოკუპაციურ თერაპევტს:

1. შეუძლია შეაგროვოს, განმარტოს და გამოიყენოს მონაცემები ჯანმრთელობის, სოციალური და ოკუპაციური მეცნიერებიდან და მოიხსენიოს წყარო თანმიმდევრულად და ზუსტად
2. შეუძლია რეფლექსიის მოხდენა და ძირითადი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, განსაკუთრებით დაოსტატებულია პრობლემის გადაწყვეტაში
3. განსაკუთრებით დაოსტატებულია ინტერპერსონალურ კომპეტენციაში, როგორც ორალური ისე წერითი კომუნიკაციის დამყარებაში პროფესიონალებსა და სერვისის მომხმარებლებთან, ჯგუფური მუშაობისას და ინტერდისციპლინური გუნდური მუშაობისას ავლენს კულტურული განსხვავების პატივისცემის უნარს
4. შეუძლია ახალ სიტუაციაში ადაპტირება, საუკეთესო გადაჭრის გზის მოძიების პროცესში არის კრეატული და იღებს გადაწყვეტილებებს გუნდთან და კლიენტთან თანამშრომლობით
5. შეუძლია მუშაობა ავტონომიურად, არის თვით-კრიტიკული და იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს
6. შეუძლია პროექტის დაგეგმვა, განხორციელება, ანგარიშის დაწერა და შეფასება
7. აქვს ბაზისური კვლევის უნარ-ჩვევა, უნარი გააკრიტიკოს და გამოიყენოს კვლევის შედეგები მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკისთვის
8. შეუძლია კომპიუტერული და ინფორმაციის მართვის უნარ-ჩვევის გამოყენება ინფორმაციის მოძიებისა და მოხსენებისთვის
9. შეუძლია პროფესიულ ინგლისურენოვან ლიტერატურასთნ მუშაობა, რათა განაახლოს საკუთარი ცოდნის დონე

ცოდნა ოკუპაციურ თერაპიში

ოკუპაციური თერაპევტი

10. ავლენს პროფესიის თეორიული საფუძვლების შესახებ ცოდნას, შეუძლია ადამიანის ოკუპაციური ბუნების და მისი ჯანმრთელობასთან კავშირს ახსნა, ოკუპაციური პერფორმანსის დანიშნულების ახსნა, პიროვნებას, გარემოს და ოკუპაციას შორის რთული ურთიერთმიმართების ახსნა
11. ავლენს ცოდნას და ესმის რთული ურთიერთმიმართება პოპულაციის ჯანმრთელობას, სოციალურ ერთობას და ოკუპაციურ უფლებებს და თემს, მათ ოკუპაციებს და გარემოს შორის
12. ესმის პიროვნება, როგორც ერთი მთლიანი, მისი მენტალური, ფიზიკური და სულიერი საჭიროებებისა და უნარების გათვალისწინებით
13. ფლობს ცოდნას გარემოს შესახებ და ესმის მისი გავლენა ოკუპაციურ პერფორმანსზე
14. ავლენს ცოდნას და ესმის ფუნქციონირების, შეზღუდული შესაძლებლობების, გარემოს და ჯანმრთელობის და მათ შორის კავშირის არსი
15. ასაბუთებს საკუთარ პრაქტიკას დებატით და დისკუსიით, ახსნა- განმარტებით და მტკიცებულებით

ოკუპაციური თერაპიის პროცესი და პროფესიული მსჯელობა

ოკუპაციური თერაპევტი

16. ოკუპაციური თერაპევტი ახორციელებს თერაპიულ პროცესს კლიენტის საჭიროებების გათვალისწინებით. ოკუპაციური საჭიროებები შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით: ჯანმრთელობის მდგომარეობით, სოციალური სიტუაციით ანდა გარემო ფაქტორებით. პროცესი მოიცავს: სკრინინგს, შეფასებას, ოკუპაციური საჭიროების დადგენას, მიზნების შესახებ მოლაპარაკებას და მათ საბოლოო ფორმულირებას, დაგეგმვას, გეგმის განხორციელებას, და შედეგების გადაფასებას.
17. იყენებს ყოველდღიურ აქტივობებს (როგორიცაა საჭმლის მომზადება), რათა აღადგინოს ფუნქცია; პიროვნების ადაპტური და კრეატული პოტენციალის სრული გამოყენების მიზნით შეიმუშავებს საქმიანობის შესრულების ახალ გზებს
18. ოკუპაციური თერაპევტი ამოიცნობს იმ ფიზიკურ, სოციალურ, ატიტუდურ, კულტურულდა საკანონმდებლო გარემო ფაქტორებს, რომელიც ზემოქმედებს ოკუპაციურ პერფორმანსზე და მუშაობს იმაზე, რომ შეცვალოს გარემო რათა გაუმჯობესდეს ფუნქცია
19. ოკუპაციური თერაპევტი ახდენს პროფესიული მსჯელობისა და კლიენტის ოკუპაციური მონათხრობის (ნარატივის) ინტეგრაციას. რაც ხელს უწყობს თეორიული მოდელების შერჩევას და განხორციელებას, ოკუპაციის და აქტივობის ანალიზს და სინთეზს, რათა ყოველი ინდივიდუალური კლიენტი ან პოპულაცია უზრუნველყოფილი იყოს საუკეთესო შესაძლო მომსახურებით

პროფესიული ურთიერთობები და პარტნიორობა

ოკუპაციური თერაპევტი

20. ქმნის პრაქტიკის საფუძველს კლიენტთან და მის ოჯახთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარებით და შენარჩუნებით. ამ ურთიერთობაში მთავარია კლიენტზე-ცენტრებული პრინციპის დაცვა. განსაკუთრებით, ინდივიდუალური განსხვავების და ღირებულებების, და მათი ზეგავლენის პატივიცემა ოკუპაციასა და თანამონაწილეობაზე
21. ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობას დამქირავებელთან, უწევს კონსულტაციას და აძლევს რჩევებს ოკუპაციასთან და ოკუპაციურ პერფორმანსთან დაკავშირებით. იყენებს ისეთ მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს კლიენტის ხედვის ინტეგრაციას
22. ამოიცნობს და უმკლავდება ეთიკურ დილემას, რაც თავს იჩენს მის პროფესიულ ურთიერთობებში
23. შეუძლია ოკუპაციურ თერაპიასთან დაკავშირებული ინფორმაციის, იდეების, პრობლემების და გადაჭრის გზების გაზიარება ინტერდისციპლინური თუ მულტიდისციპლინური გუნდისთვის, ასევე ოკუპაციური თერაპიის სტუდენტებისთვის და მათთვის ვისაც არ აქვს შესაბამისი დარგობრივი განათლება.

პროფესიული ავტონომია და პასუხისმგებლობა

ოკუპაციური თერაპევტი

24. ახორციელებს პრაქტიკას ოკუპაციური თერაპიის ადგილობრივი და საერთაშორისო პოლიტიკის, ეთიკის კოდის და რეგულაციების შესაბამისად
25. მიჰყვება ოკუპაციური თერაპიის სერვისის დოკუმენტაციის მართვისათვის შემუშავებულ პროცედურებს
26. მუშაობს თავისი ცოდნის, უნარების ფარგლებში და საჭიროებისამებრ მიმართავს სხვა პროფესიონალებს
27. ახდენს ავტონომიის მაღალი ხარისხის დემონსტრირებას სწავლის საჭიროების და შესაბამისი შესაძლებლობის იდენტიფიკაციაში; ერთვება უწყვეტი პროფესიული განათლების პროცესში

კვლევა და განვითარება ოკუპაციურ თერაპიაში/მეცნიერებაში

ოკუპაციური თერაპევტი

28. ეფექტურად მონაწილეობს კვლევის ტიპის პროექტებში
29. მონაწილეობს კონფერენციებში, სამუშაო ჯგუფებში და ხელს უწყობს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას სამუშაო ადგილზე
30. შეუძლია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მტკიცებულების კრიტიკა, რათა მოახდინოს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის განვითარება; ესმის მტკიცებულების საზღვარი არსებული პრაქტიკისთვის

ოკუპაციური თერაპიის მენეჯმენტი და ხელშეწყობა

31. პოპულაციის ყოველდღიური საქმიანობების საჭიროებებიდან, უფლებებიდან და ამ საქმიანობების ჯანმრთელობასთან და კეთილდღეობასთან კავშირიდან გამომდინარე ახორციელებს ხელშემწყობ (პრომოუშენის) აქტივობებს
32. კლიენტების საჭიროებიდან გამომდინარე განსაზღვრავს, ანიჭებს პრიორიტეტს და ხელს უწყობს ოკუპაციური თერაპიის სერვისს
33. ახორციელებს ოკუპაციური თერაპიის სტუდენტების, დამხმარეების, ასისტენტების, მოხალისეებისა და სხვების სუპერვიზიას
34. ადგილობრივი ჯანმრთელობისა და სოციალური გამოწვევების საპასუხოდ იაზრებს და ნერგავს სტრატეგიებს, რათა პროაქტიულად შეუწყოს ხელი სერვისების მიწოდებას, განსაკუთრებით ადგილობრივ დეონეზე
35. ესმის და იყენებს მენეჯმენტის სტრატეგიებსა და მეთოდებს

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სასწავლო პროგრამა აგებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიაზე. სწავლა-სწავლებისას გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა:

- პრობლემაზე და პროექტზე დაფუძნებული სწავლება
- კვლევაზე და ლიტერატურაზე მუშაობა
- ინტერაქტიური ლექცია პრეზენტაციის მრავალფეროვანი გზების გამოყენებით
- ჯგუფური და ინდივიდუალური დავალებები
- ვიდეო დაკვირვება
- შემთხვევის (case) განხილვა
- მუშაობა, დისკუსია, დებატი, კონსულტაცია, მენტორინგი.
- პრაქტიკული აქტივობების განხორციელება
- პრეზენტაცია: ზეპირი, წერითი, პროდუქტის
- დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლა-სწავლების პროცესში სტუდენტს მხარდაჭერას უწევს პირადი მენტორი, რომელიც ეხმარება სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო მიზნების დასახვაში, სასურველი გამოცდილების და რესურსების მოძიებაში, თვით-კრიტიკული უნარ-ჩვევის გამომუშავებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის კომპეტენტურობის დონე ფასდება კონკრეტული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის დონით შემდეგი სისტემის მიხედვით: „ფრიადი“, „ძალიან კარგი“, „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“, „საკმარისი“, „ვერ ჩააბარა “, „ჩაიჭრა“. სტუდენტის შეფასება დამოკიდებულია როგორც

ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია	შეფასების GPA
90%–ზე მეტი	(A) „ფრიადი“	დადებითი	4.0
81 %– 90%	(B) „ძალიან კარგი“	დადებითი	3.0
71% – 80%	(C) „კარგი“	დადებითი	2.0
61% – 70%	(D) „დამაკმაყოფილებელი“	დადებითი	1.0
51 %– 60%	(E) „საკმარისი“	დადებითი	0.5
41 %– 50%	(FX) „ვერ ჩააბარა“ (ეძლევა ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება	უარყოფითი	0
0% – 40%	(F) „ჩაიჭრა“ (საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი)	უარყოფითი	0

პროგრამის ხელმძღვანელები და კოორდინატორი

პროგრამის ხელმძღვანელები:

- პროფესორი თამარ გაგოშიძე;
- ჯონა (ჰანეკე) ვან ბრუგენი, დოქტორის საპატიო სამეცნიერო ხარისხი, ბრაიტონის უნივერსიტეტი

კოორდინატორი: ნინო რუხაძე

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები

პროგრამა აღწურვილია შემდეგი რესურსით: კომპიუტერეული და საპრეზენტაციო ტექნიკა, პროფესიული ბიბლიოთეკა, დამხმარე საშუალებების და ადაპტირებული ავეჯის ნიმუშები და მასზე სამუშაო ტექნიკა.

დასაქმების სფეროები

ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ დასაქმება შესაძლებელია შემდეგი პრაქტიკის სფეროებში: პედიატრიული, ნევროლოგიური, ორთოპედიული, ფსიქიკური ჯანმრთელობის, გერიატრიული, თემზე დაფუძნებული (ოკუპაციურად დეპრივირებული ჯგუფები).
ოკუპაციური თერაპევტი მუშაობს რეაბილიტაციის ცენტრებში, სტაციონარში თუ ამბულატორიაში, დღის თუ სადღეღამისო მოვლის ცენტრებში, პალიატიური მზრუნველობის ცენტრებში, მზრუნველობას მოკლებულ პირთათვის არსებულ სახლებსა თუ პანსიონებში, ბაგა-ბაღში, ზოგადსაგანმანათლებლო თუ სპეციალიზირებულ სკოლებში, სახელობო სასწავლებლებში, მხარდამჭერი დასაქმების ცენტრებში, დამხმარე საშუალებების შექმნის, შერჩევის და მორგების სერვისის უზრუნველყოფის ცენტრებში და სხვა.
ასევე შესაძლებელია მონაწილეობა კვლევით პროექტებში, სწავლებასა და ტრენინგებში.

პარტნიორობა

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დაფუძნებულია TEMPUS project: MP–JEP-23154-2002 ფარგლებში შემდეგ ორგანიზაციებთან პარტნიორობით: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უწყებებთან - სოციალური მომსახურების სააგენტო; ადამიანით ვაჭრობის, მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; ოკუპაციური თერაპიის ევროპული ქსელი უმაღლეს განათლებაში (ENOTHE); ჯანმრთელობის დამხმარე პროფესიების უმაღლესი სკოლა (SAH); ბავშვთა ნევრლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრი (NDC); მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის (MAC).

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: მედიცინა
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ფსიქოლოგიის დეპარტამენტი
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა
სწავლების საფეხური: პირველი/ბაკალავრიატი (240 ECTS)
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ გაგოშიძე; ჯოანა (ჰანეკე) ვან ბრუგენი, დოქტორის საპატიო სამეცნიერო ხარისხი, ბრაიტონის უნივერსიტეტი
სასწავლო პროგრამის კოორდინატორი: ნინო რუხაძე
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №182/2018; 30 ივლისი 2018
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2018 – 2019 წელი

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა / Bachelor program in Occupational Therapy 2017-2018

I კურსი I სემესტრი - ოკუპაციური თერაპიის საფუძვლები

№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო	ხანგრძლივობა	დამოუკ.	ჯამური
			საათი	დღე	საათი	საათი
პროფესიასა და სასწავლო პროცესში ორიენტაცია						
1	**შესავალი ოკუპაციურ თერაპიაში** (მოდელი: პიროვნება - გარემო - ოკუპაცია)	2	30	6	20	50
2	**პორტფოლიოს წარმოება, პროფესიული ზრდა და სწავლაში წინსვლა**	2	15	15	35	50
3	**პრეზენტაციის უნარ-ჩვევები**	1	15	15	10	25
4	**შესავალი ოკუპაციური თერაპიის ფილოსოფიაში** (ძირითადი საფუძვლები, თეორია ოკუპაციურ თერაპიაში, ოკუპაციური მეცნიერება და კვლევა) - **პროფესიული ინგლისური**	5	60	15	65	125
5	**შემოქმედებითი უნარ-ჩვევები** (ხატვა, ძერწვა, კონსტრუირება)	5	60	15	65	125
სხეულის სტრუქტურასა და ფუნქციასთან დაკავშირებული კურსები						
6	**ჯანმრთელობა, სოციალური ზრუნვა და კანონმდებლობა**	2	30	15	20	50
7	**ანატომია** (სხეულის სტრუქტურები, სხეულის ანატომიური ნაწილები, როგორიცაა ორგანოები, კიდურები და მათი ნაწილები; ფოკუსი ძვალკუნთოვან და ნერვულ სისტემებზე)	6	90	15	60	150
8	**ფსიქოლოგიის საფუძვლები 1**	5	45	15	80	125
9	**სოციოლოგია**	2	30	15	20	50
	სულ	30	375		375	750

I კურსი II სემესტრი - ოკუპაციური თერაპიის პროცესი

№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო	ხანგრძლივობა	დამოუკ.	ჯამური
			საათი	დღე	საათი	საათი
ოკუპაციური თერაპიის პროცესი						
10	**შესავალი ოკუპაციური თერაპიის ფილოსოფიაში** (ძირითადი საფუძვლები, თეორიები ოკუპაციურ თერაპიაში/მეცნიერებაში და თემზე დაფუძნებული ოკუპაციური თერაპია, მცირე პროექტი) - პროფესიული ინგლისური	4	45	15	55	100
11	**ოკუპაციური თერაპიის პროცესი** (პრაქტიკის მოდელები, რეფერირების ჩარჩოები, კ.პ.პ. სამუშაო ჩარჩოს საფეხურები)	5	60	15	65	125
12	**ოკუპაციური თერაპიის უნარ-ჩვევა და ოკუპაციის ანალიზი**	5	75	15	50	125
სხეულის სტრუქტურასა და ფუნქციასთან დაკავშირებული კურსები						
13	**ფიზიოლოგია** (სხეულის ფუნქციები, სხეულის სისიტემების ფიზიოლოგიური ფუნქციები; ფოკუსი ნეიროძვალკუნთოვან და მოძრაობის ფუნქციებზე)	6	60	10	90	150
14	**პათოლოგია** (სხეულის ფუნქციიისა და სტრუქტურის დარღვევებზე, რეაბილიტაციაზე, პედიატრიასა და ნევროლოგიაზე აქცენტით)	5	45	8	80	125
15	**ფსიქოლოგიის საფუძვლები 2**	5	45	15	80	125
	სულ	30	450		405	750

II კურსი III სემესტრი - ბავშვებში თვით-მომსახურების, თამაშის, განათლების ხელშეწყობა მშობლებთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობით

№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო	ხანგრძლივობა	დამოუკ.	ჯამური
			საათი	დღე	საათი	საათი
ოკუპაციური თერაპია ბავშვებში						
16	**ოკუპაციური თერაპია ბავშვებში** (ზოგადი თეორიული მოდლეები, რეფერირების ჩარჩო, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა)	5	75	15	50	125
17	**ოკუპაციური თერაპია პედიატრიულ/სკოლის პრაქტიკაში - პრაქტიკული უნარ-ჩვევები** (საკუთარ თავზე დამოკიდებულება, თამაში, სკოლის უნარ-ჩვევები, პრაქტიკული დამხმარე საშუალებები ინკლუზიურ საზოგადოებაში)	5	75	15	50	125
18	**ოკუპაციური თერაპია პედიატრიულ/სკოლის პრაქტიკაში - პრაქტიკა 1** (გუნდური მუშაობის ჩათვლით)	3	15	15	60	75
19	**პორტფოლიო** (ინდივიდუალური შეხვედრები მენტორთან)	2	15	15	35	50
ოკუპაციურ თერაპიასთან დაკავშირებული რეფერირების ჩარჩოები						
20	ინკლუზიური განათლების მიდგომა	2	30	15	20	50
21	ადამიანის განვითარება 1	5	45	15	80	125
22	პედაგოგიკა / დასწავლის თეორიები	3	30	15	45	75
23	პათოლოგია - პედიატრიაში და ნევროლოგიაში	3	45	15	30	75
24	არჩევითი საგანი - საუნივერსიტეტო	2	-	-	-	50
	სულ	30	450		370	750

II კურსი IV სემესტრი: დამოუკიდებლობის, თვით-რეალიზაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა ინსტიტუციასა და საზოგადოებაში

№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო	ხანგრძლივობა	დამოუკ.	ჯამური
			საათი	დღე	საათი	საათი
ოკუპაციური თერაპია მენტალური ჯანმრთელობის სფეროში						
25	**ოკუპაციური თერაპია სწავლის სირთულეებისა და აუტისტური სპექტრის მქონე პირებთან** (ინსტიტუციასა და საზოგადოებაში)	4	45	15	55	100
26	ოკუპაციური თერაპია სწავლის სირთულეებისა და აუტისტური სპექტრის მქონე პირებთან **პრაქტიკული უნარ-ჩვევა**	4	45	15	55	100
27	**ოკუპაციური თერაპია ფსიქო-სოციალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან** (ოკუპაციური თერაპია ფსიქიკურ ჯანმრთელობაში და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა)	5	45	15	80	125
28	**ოკუპაციური თერაპიის უნარ-ჩვევა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში**	5	60	15	65	125
29	**ოკუპაციური თერაპია პედიატრიულ/სკოლის პრაქტიკაში - პრაქტიკა** 2 (გუნდური მუშაობის ჩათვლით)	3	15	15	60	75
ოკუპაციურ თერაპიასთან დაკავშირებული რეფერირების ჩარჩოები						
30	ადამიანის განვითარება 2	5	45	15	80	125
31	**ფსიქიატრია**	4	45	15	55	100
	სულ	30	300		450	750

III კურსი V სემესტრი - ოკუპაციური თერაპია და ზრდასრულთა რეაბილიტაცია და სოციალური მომსახურება

№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო	ხანგრძლივობა	დამოუკი.	სულ
			საათი	დღე	საათი	საათი
ოკუპაციური თერაპია ნევროლოგიაში						
32	ოკუპაციური თერაპია ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდვის მქონე ზრდასრულებთან (შეფასება და ჩარევა ნევროლოგიური დაზიანებების მქონე ზრდასრულებთან და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა)	4	60	15	40	100
33	შეფასება და ინტერვენცია ნევროლოგიური დაზიანებების მქონე ზრდასრულებთან – პრაქტიკული უნარ-ჩვევები	6	90	15	60	150
34	ოკუპაციური თერაპია პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებაში (თემზე დაფუძნებული პროექტები)	2	30	15	20	50
35	პრაქტიკა ფსიქიკური ან ფიზიკური ზრუნვის სფეროში	9	15	15	210	225
36	ნევროლოგია და ნეიროქირურგია	2	30	15	20	50
37	ნეიროფსიქოლოგია	5	45	15	80	125
38	კინეზიოლოგია	2	30	15	20	50
	სულ	30	300		450	750

III კურსი VI სემესტრი: ოკუპაციური თერაპია აქცენტით შინ მომსახურებასა და პრევენციაზე

№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო	ხანგრძლივობა	დამოუკ.	სულ
			საათი	დღე	საათი	საათი
40	**ოკუპაციური თერაპია ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრადსრულებში** (ორთოპედიული პრობლემებით გამოწვეული წინააღმდეგობების გადალახვა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა)	4	30	15	70	100
41	**ოკუპაციური თერაპია ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრადსრულებში** (მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა) - პრაქტიკული უნარ-ჩვევა - ,,სპლინტინგი''	4	60	15	40	100
42	**ოკუპაციური თერაპია ხანდაზმულებთან**	3	30	15	45	75
43	**ოკუპაციური თერაპია ხანდაზმულებთან - უნარ-ჩვევა** (პრევენციისა და პრომოუშენის გეგმის შედგენა და განხორციელება)	4	45	15	55	100
44	პრაქტიკა ოკუპაციურ თერაპიაში (სფერო სტუდენტის არჩევით)	11	15	15	260	275
45	**ორთოპედია**	4	30	15	70	100
	სულ	**30**	**210**		**540**	**750**

IV კურსი VII სემესტრი - თემზე დაფუძნებული მიდგომა

№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო	ხანგრძლივობა	დამოუკ.	ჯამური
			საათი	დღე	საათი	საათი
ოკუპაციური თერაპია თემთან						
46	ოკუპაციური თერაპია მარგინალურ ჯგუფებთან თემზე დაფუძნებული მუშაობის თეორიული საფუძვლები	5	45	15	80	125
47	პრაქტიკული უნარ-ჩვევები თემთან მუშაობის სტრატეგიები (ტვინის შტურმი, ჯგუფების ოკუპაციური საჭიროებების დადგენა, შესაძლებლობების განვითარება)	5	45	15	80	125
48	პრაქტიკა - თემზე დაფუძნებული პროექტი	12	15	-	285	300
თემთან მუშაობასთან დაკავშირებული რეფერირების ჩარჩოები						
48	პროექტის შექმნა და მართვა	4	45	15	55	100
49	არჩევითი საგანი - საუნივერსიტეტო	4	-	-	-	100
	სულ	30				750

IV კურსი VIII სემესტრი

№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო	ხანგრძლივობა	დამოუკ.	ჯამური
			საათი	დღე	საათი	საათი
50	**ოკუპაციური თერაპია და დასაქმების პროექტის შემუშავება მართვა და განხორციელება** (პრაქტიკის ჩათვლით)	10	15	-	235	250
51	**საბოლოო პროექტის, ნამუშევრის/სტატიის წერა** (სუპერვიზიით)	9	15	15	210	225
	პროფესიული ინგლისური (ლიტერატურის მოძიება, დამუშავება და გამოყენება)	4	15	15	85	100
	კვლევა და ხარისხის კონტროლი	5	15	15	110	125
53	**პროტფოლიოს საბოლოო პრეზენტაცია და მომზადება ზეპირი გამოცდისთვის**	2	15	15	35	50
	სულ	**30**	**75**		**675**	**750**